

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N469

ქ. ბათუმი, 22 აპრილი, 2019 წ.

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის N37 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N60 განკარგულების საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ხიმშიაშვილის ქ. N13-ის მოპირდაპირედ მდებარე 1271,0 კვმ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 444,0 კვმ ნაგებობების - საზღვაო პირის (საკადასტრო კოდი: 05.24.02.037) იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

2. ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების ქირის საწყისი წლიური საფასური განისაზღვროს 36 000,0 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

3. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.

4. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ს მეშვეობით.

5. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: [www.eauction.ge](http://www.eauction.ge).

6. წინამდებარე ბრძანება (ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: [www.batumi.ge](http://www.batumi.ge).

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს პირობებიან ელექტრონულ აუქციონს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ხიმშიაშვილის ქ. N13-ის მოპირდაპირედ მდებარე 1271,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 444,0 კვ.მ. ნაგებობების - საზღვაო პირის (საკადასტრო კოდი: 05.24.02.037) იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

- უძრავი ქონების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის ფორმა: პირობებიანი ელექტრონული აუქციონი.
- სარგებლობის ვადა: 05 (ხუთი) წელი.
- ქირის საწყისი წლიური საფასური: 36 000,0 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.
- ბე/საგარანტიო თანხა: 11000,0 (თერთმეტი ათასი) ლარი.
- ვაჭრობის ბიჯი: 1000 (ერთი ათასი) ლარი.
- აუქციონში მონაწილეობის მიღებით აუქციონის მონაწილე ადასტურებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილებს გამოცხადებულ სააუქციონო პირობებს.
- აუქციონში გამარჯვების პირობა: მაქსიმალური ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ ქირის საწყის წლიურ საფასურს არანაკლებ ერთი ბიჯისა (ქონება ითვლება სარგებლობაში გადაცემულად ელექტრონულ აუქციონში საბოლოო თანხის შემომთავაზებელ მონაწილეზე).
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონში გამარჯვების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო ვადაში გამოცხადდეს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურში და ხელშეკრულების დასადავად წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ხელშეკრულება უნდა დაიდოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.
- **სააუქციონო პირობები:**
  - 1) მოიჯარე (აუქციონში გამარჯვებული) უფლებამოსილია სარგებლობაში მიღებულ მიწის ნაკვეთსა და ნაგებობაზე (პირსი) მოაწყოს ღია ტიპის კაფე.
  - 2) აუქციონში გამარჯვებულს (მოიჯარეს ეკრძალება) იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მიწასთან მყარად დაკავშირებული ნაგებობის (მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი) განთავსება, ასევე მიწის ნაკვეთზე სხვა ობიექტების ან/და ვერტმფრენის მოწყობა/განთავსება გარდა პირველ პუნქტში მითითებულისა.
  - 3) წლიური სარგებლობის საფასურის გადახდა ხორციელდება თანაბარწილად კალენდარული წლის 01 ივნისამდე და 01 დეკემბრამდე. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ბოლო სახელშეკრულებო წლის სარგებლობის საფასური სრულად უნდა იქნეს გადახდილი. აუქციონში გამარჯვებულს გადახდილი ბე ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში. იჯარის ხელშეკრულების სარგებლობაში მიმდების ინიციატივით (მისი ბრალეულობით) ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის დროისა, მოიჯარე (აუქციონში გამარჯვებული) სრულად იხდის იმ სახელშეკრულებო წლის სარგებლობის საფასურს, როდესაც მოხდა ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

4) საიჯარო ქირის გადახდა მოიჯარეს არ ათავისუფლებს მიწით სარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან;

- აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2019 წლის 22 აპრილს 16:30 საათზე და სრულდება 2019 წლის 07 მაისს 12:00 საათზე.
- ელექტრონული აუქციონი ჩატარდება ელექტრონული აუქციონის პორტალზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge).
- დაინტერესებულ პირს დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლია მიმართოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს (მის. ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N10; ტელ: (0422) 24 63 15; 24 63 06; 577 08 09 92; საკონტაქტო პირი - რუსუდან ჟოჟაძე)

## აუქციონში მონაწილეობის პირობები და აუქციონის ჩატარების წესი

(შედგენილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად.

### 1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები

1.1. ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში მიმღები შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

1.2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება.

გ) პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პირობების გაცნობა;

დ) საბანკო დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე, „ინტერნეტბანკინგის“, საბანკო პლასტიკური ბარათისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, „ბე“-ს გადახდა.

1.3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეიძლება, უარი ეთქვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია „1.2.“ პუნქტის მოთხოვნები.

### 2. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი

2.1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი, რომელიც აკმაყოფილებს „1.2.“ პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, სარგებლობის საწყის საფასურზე ბიჯის დამატების შემთხვევაში, იძენს ელექტრონულ აუქციონში მონაწილის სტატუსს.

2.2. ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში.

2.3. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში.

2.4. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებგვერდზე გამოცხადების მომენტი.

2.5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირს, რომელსაც სურს ქირის საწყისი წლიურის საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს საწყის საფასურზე ბიჯის დამატებას), რომელიც, ასევე, ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება სარგებლობაში გადაცემულად აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც ონლაინ რეჟიმში ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

2.6. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება 2 წუთით, დასრულების მითითებული მომენტიდან. თუ ამ დროის

განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი.

2.7. ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით (მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე), გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

2.8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს, ელექტრონული გზით, ეცნობება სარგებლობის საფასურის (საიჯარო ქირა) გადახდის თარიღი და ქონების გადაცემის პირობები, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად. ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს ბე დაუბრუნდებათ ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მისი შეტანის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის საფუძველზე. ბე აუქციონში დამარცხებულს უბრუნდება მის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

2.9. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, დადგენილი წესით, გადაიხადეს ბე, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი ბე სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

2.10. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ბე სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, არ გადაიხადა ქონების სარგებლობის საფასური (საიჯარო ქირა).

2.11. ბე, აგრეთვე, სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემ დაარღვია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“ განსაზღვრული წესი და პირობები.

### **3. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

3.1. აუქციონატორი (მუნიციპალიტეტი) უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს შეცვალოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესი და ელექტრონული აუქციონის პირობები (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) და განათავსოს შესაბამის ვებგვერდზე;

ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, მომხმარებლის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან აუქციონატორს;

გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს რეგისტრაცია და შესვლა ვებგვერდზე, თუ ჩათვლის, რომ მომხმარებელი მოქმედებს ამ წესის მოთხოვნათა დარღვევით;

დ) ელექტრონული აუქციონის პროცესში რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები.

3.2. აუქციონატორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეს, მისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, უბრუნდება ბე, თუ შეცვლილი წესითა და ელექტრონული აუქციონის პირობებით (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) აღარ სურს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობა.

3.3. აუქციონატორი ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით, გადასცეს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს სარგებლობის უფლება ქონებაზე (ხოლო ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში – სარგებლობის უფლება ვალდებულებებთან ერთად).

3.4. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში მიმღები უფლებამოსილია:

- ა) სარგებლობაში მიიღოს მუნიციპალიტეტის ქონება;
- ბ) ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები.

3.5. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში მიმღები ვალდებულია:

- ა) დაიცვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესები;
- ბ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადოს სარგებლობაში მიღებული მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის საფასური და სრულად დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები.

#### **4. ანგარიშსწორება**

4.1. მომხმარებლის მიერ ლოტზე ბეს გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ სარგებლობაში მიღებული ქონების სარგებლობის საფასურის გადახდა შესაძლებელია საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და აუქციონატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებებით.

4.2. ელექტრონული აუქციონის შესაბამის ვებგვერდზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ქონების სარგებლობის საფასურის გადახდის, ასევე ბეს გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელის, ლოტის და აუქციონატორის შესახებ, დასახელებისა და ანგარიშის/ანგარიშების ნომრ(ებ)ის მითითებით.

4.3. მომხმარებლის ლოტზე ბეს გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ლოტზე მუნიციპალიტეტის სარგებლობაში მიღებული ქონების სარგებლობის საფასურის გადახდა ხორციელდება, საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და სხვა საშუალებებით.

4.4. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ გადახდილი ქონების სარგებლობის საფასური ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

#### **5. გარიგების გაფორმება და ქონების მიმღების პასუხისმგებლობა**

აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი, ქონების მიმღების ვალდებულებები, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების მიმღების პასუხისმგებლობის წესი და პირობები, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“.